

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ბასმოტორს თბილისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

#### შინაარსი

|                                                              |   |
|--------------------------------------------------------------|---|
| 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                  | 3 |
| 2. მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 4 |
| 3. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება .....                     | 5 |
| 4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....              | 6 |

#### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                          |    |
|--------------------------------------------------------------------------|----|
| 1. შპს ბასმოტორს თბილისი და მისი საქმიანობა .....                        | 7  |
| 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი .....                               | 7  |
| 3. სააღლიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები .....                         | 7  |
| 4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები .....                 | 8  |
| 5. ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში .....                                | 10 |
| 6. მარაგები .....                                                        | 10 |
| 7. ამონაგები .....                                                       | 11 |
| 8. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა .....                              | 11 |
| 9. სავაჭრო მოთხოვნები .....                                              | 11 |
| 10. სავაჭრო ვალდებულებები .....                                          | 12 |
| 11. ფინანსური და საოპერაციო იჯარა .....                                  | 12 |
| 12. შრომის ანაზღაურება .....                                             | 12 |
| 13. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები .....                                 | 13 |
| 14. წარმომადგენლობითი ხარჯები .....                                      | 13 |
| 15. ქონების გადასახადი .....                                             | 13 |
| 16. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ..... | 13 |
| 17. დივიდენდის განაწილება .....                                          | 13 |
| 18. საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა .....                           | 14 |
| 19. დამატებითი ღირებულების გადასახადი .....                              | 14 |
| 20. მოგების გადასახადი .....                                             | 14 |
| 21. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა .....                           | 14 |
| 22. ბალანსები გარიშგებები დაკავშირებულ მხარეებთან .....                  | 14 |
| 23. ანგარიშგების გადაანგარიშება/შესწორება გამოცემის შემდეგ .....         | 15 |
| 24. ბალანსის შემდგომი მოვლენები .....                                    | 15 |
| 25. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი .....                              | 16 |

შპს ბასმოტორს თბილისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება          | 31.12.2024       | 31.12.2023       | 31.12.2022       |
|---------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                             |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                        | 850 927          | 598 485          | 422 527          |
| არამატერიალური აქტივი                       |                  |                  |                  |
| საინვესტიციო ქონება                         |                  |                  |                  |
| ბიოლოგიური აქტივი                           |                  |                  |                  |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში            |                  |                  |                  |
|                                             | <b>850 927</b>   | <b>598 485</b>   | <b>422 527</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                |                  |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები  | 1 034 545        | 208 010          | 228 092          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 956 795          | 473 480          | 540 488          |
| გადახდილი ავანსები                          | 41 750           | 34 346           | 159 397          |
| მარაგები                                    | 2 619 111        | 1 522 133        | 1 333 049        |
| მისაღები დივიდენდები და პროცენტები          |                  |                  |                  |
| სხვა აქტივი                                 | 67 017           | 51 189           | 33 624           |
|                                             | <b>4 719 218</b> | <b>2 289 158</b> | <b>2 294 650</b> |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                     | <b>5 570 145</b> | <b>2 887 643</b> | <b>2 717 177</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                     |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                          | 208 902          | 208 902          | 208 902          |
| გაუნაწილებელი მოგება(დაგროვილი ზარალი)      | 3 016 553        | 2 189 157        | 1 751 162        |
| გადაფასების რეზერვი                         |                  |                  |                  |
|                                             | <b>3 225 455</b> | <b>2 398 059</b> | <b>1 960 064</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                        |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>           |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხები                        | 0                | 0                | 68082            |
|                                             | <b>0</b>         | <b>0</b>         | <b>68 082</b>    |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>           |                  |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები  | 2 303 440        | 489 584          | 683 261          |
| მიღებული ავანსები                           | 41 250           |                  | 5 770            |
|                                             | <b>2 344 690</b> | <b>489 584</b>   | <b>689 031</b>   |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                | <b>2 344 690</b> | <b>489 584</b>   | <b>757 113</b>   |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp; ვალდებულებები</b> | <b>5 570 145</b> | <b>2 887 643</b> | <b>2 717 177</b> |

დირექტორი:ამირან ბასილაძე

მთ.ბუღალტერი:მაკა აბრამიძე

Amiran  
Basiladze  
61009003764

მ. აბრამიძე

Digitally signed by  
Amiran Basiladze  
Date: 2025.09.17  
13:06:27

3

დირექტორი:რუსლან ბასილაძე

Ruslan  
Basiladze  
61009001673

Digitally signed by  
Ruslan Basiladze  
Date: 2025.09.17  
11:44:19

შპს ბასმოტორს თბილისი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| მოგებისა და ზარალის ანგარიშგება                            | 31.12.2024       | 31.12.2023     |
|------------------------------------------------------------|------------------|----------------|
| ამონაგები                                                  | 8 480 189        | 3 537 884      |
| საქონლის გაყიდვიდან                                        | 8 827 829        | 3 537 152      |
| მომსახურების გაწევიდან                                     | 48 471           | 10 473         |
| ფასდაკლება და უკან დაბრუნებული<br>გაყიდული საქონელი        | (396 111)        | (9 741)        |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება:                  | (7 245 291)      | (2 797 753)    |
| <b>საერთო მოგება</b>                                       | <b>1 234 898</b> | <b>740 131</b> |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ზარჯი<br>უცხოური             | (23 883)         | 24 449         |
| ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო<br>სახსრების გადაფასებიდან" | (236 769)        | (177 343)      |
| დასაქმებულთა ანაზღურება                                    | (31 191)         | (28 689)       |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                       | (52 820)         | (50 869)       |
| საპროცენტო შემოსავალი                                      | (62 839)         | (55 722)       |
| საპროცენტო ხარჯი                                           |                  | (13 961)       |
| იჯარის ხარჯი                                               |                  |                |
| ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი                       |                  |                |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი</b>                | <b>827 397</b>   | <b>437 996</b> |
| <b>პერიოდის მთლიანი სრული<br/>მოგება/ზარალი</b>            | <b>827 397</b>   | <b>437 996</b> |

დირექტორი:ამირან ბასილაძე

Amiran  
Basiladze  
61009003764

Digitally signed by  
Amiran Basiladze  
Date: 2025.09.17  
13:08:57

დირექტორი:რუსლან ბასილაძე

Ruslan  
Basiladze  
61009001673

Digitally signed  
by Ruslan  
Basiladze  
Date: 2025.09.17  
11:46:02

მთ.ბუღალტერი:მაკა აბრამიძე

მ. აბრამიძე



შპს ბასმოტორს თბილისი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                                                                     | 31.12.2024       | 31.12.2023       |
|--------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                                  |                  |                  |
| გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები                                             | 8 694 995        | 3 860 337        |
| მიღებული ავანსები                                                                                | 551 365          | 183 648          |
| მომწოდებელზე გადახდილი თანხები                                                                   | (3 674 766)      | (1 081 002)      |
| ანგარიშ ვალდებულ პირზე გაცემული თანხები                                                          | (675 990)        | (402 695)        |
| თანამშრომელზე ხელფასის სახით გაცემული თანხები                                                    | (185 260)        | (134 627)        |
| ავანსის სახით გადახდილი ფულადი სახსრები                                                          | (3 455 214)      | (1 493 879)      |
| გადახდილი გადასახადები                                                                           | (956 006)        | (546 476)        |
| სხვა გადასახადები                                                                                | (7 795)          | (45 850)         |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                           | <b>291 329</b>   | <b>339 456</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                                |                  |                  |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                                     | 561 567          | (241 653)        |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                         | <b>561 567</b>   | <b>(241 653)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                                   |                  |                  |
| სესხის დაფარვა                                                                                   |                  | (68 083)         |
| სავალუტო გადაფასების ხარჯი                                                                       | (26 361)         | (35 776)         |
| სასესხო პროცენტის დაფარვა                                                                        |                  | (14 032)         |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                            | <b>(26 361)</b>  | <b>(117 891)</b> |
| <b>ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის</b>                                                      | <b>208 010</b>   | <b>228 098</b>   |
| <b>ფულადი სახსრების ექვივალენტების მოძრაობა წლის განმავლობაში</b>                                | <b>826 535</b>   | <b>(20 088)</b>  |
| <b>ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი</b> | <b>1 034 545</b> | <b>208 010</b>   |

დირექტორი:ამირან ბასილაძე

Amiran  
Basiladze  
61009003764

Digitally signed by  
Amiran Basiladze  
Date: 2025.09.17  
12:11:08

მთ.ბუღალტერი:მაკა აბრამიძე

მ. აბრამიძე

დირექტორი:რუსლან ბასილაძე

Ruslan  
Basiladze  
61009001673

Digitally signed  
by Ruslan  
Basiladze  
Date: 2025.09.17  
11:47:25

შპს ბასმოტორს თბილისი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების<br>ანგარიშგება             | 2024 წელი        | 2023 წელი        |
|-----------------------------------------------------------|------------------|------------------|
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი<br>პერიოდის დასაწყისში   | 2 398 059        | 1 960 064        |
| მიმდინარე წლის მოგება ზარალი<br>ცვლილებები მოგება ზარალში | 827 396          | 437 995          |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                              | <b>3 225 455</b> | <b>2 398 059</b> |

დირექტორი:ამირან ბასილაძე

Amiran  
Basiladze  
61009003764

Digitally signed by  
Amiran Basiladze  
Date: 2025.06.17  
13:15:48

დირექტორი:რუსლან ბასილაძე

Ruslan  
Basiladze  
61009001673

Digitally signed by  
Ruslan Basiladze  
Date: 2025.06.17  
11:41:41

მთ.ბუღალტერი:მაკა აბრამიძე

მ. აბრამიძე

შპს ბასმოტორს თბილისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

### **1. შპს ბასმოტორს თბილისი და მისი საქმიანობა**

შპს „ბასმოტორს თბილისი“ ს/კ 400 118 948 დაფუძნებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2014 წლის 30 მაისს, რეგისტრაციის ნომერი - B21078249

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 270  
ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 270  
საიდენტიფიკაციო კოდი: 400 118 948

#### **საზოგადოების დამფუძნებლები:**

ამირან ბასილაძე პ/წ 61009003764- 50%-იანი წილის მფლობელი  
რუსლან ბასილაძე პ/წ 61009001673- 50 %-იანი წილის მფლობელი.

#### **საზოგადოების დირექტორები:**

ამირან ბასილაძე პ/წ 61009003764  
რუსლან ბასილაძე პ/წ 61009001673

#### **ზოგადი დებულება**

- საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:
- საცალო ვაჭრობა სატრანსპორტო საშუალებით/ტექნიკებით, ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით.
- სატრანსპორტო საშუალებებზე/მძიმე ტექნიკაზე რემონტი და ტექნიკური მომსახურება
- სხვა საქმიანობა რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.
- საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს.

### **2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

**ა) წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:**

- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის(მსს ფასს).
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
- წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებს 2024 წლის 01 იანვრს და სრულდება 31 დეკემბერს.
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საზოგადოების დირექტორები.

#### **ბ) ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები**

ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა - კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერიის“ მეშვეობით.

#### **გ) ფუნქციონირებადი საწარმო**

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დამგებლის საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

### **3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**

#### **ა) ფულადი ნაკადების აღრიცხვა-ანგარიშგება**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს . ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა. ბუღალტრული ოპერაციები იწარმოება როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო, ლირა). იმ დღით დაწესებული ეროვნული ბანკის დადგენილი კურსის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი დოკუმენტებით, მიღებული ინფორმაციებითა და შესაბამისი ბუღალტრული გატარებების საფუძველზე.



შპს ბასმოტორს თბილისი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                              |         |         |
|----------------------------------------------|---------|---------|
| ნაშთი ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში ლარში; | 2024წ   | 2023წ   |
|                                              | 424,779 | 161,130 |
| ნაშთი ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში USD;   | 2024წ   | 2023წ   |
|                                              | 136,219 | 17,019  |
| ნაშთი ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში EURO;  | 2024წ   | 2023წ   |
|                                              | 77,460  | 0       |
| ნაშთი ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში TL;    | 2024წ   | 2023წ   |
|                                              | 5,304   | 12,184  |

**ბ) ანგარიშსწორების ფორმა**

საზოგადოება ანგარიშსწორებას აწარმოებს როგორც უნაღდო ასევე ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით.

**გ) ანგარიშგების ვალუტა**

ანგარიშგების საოპერაციო ვალუტა წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში-ლარი.

**დ) უცხოური ვალუტა**

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები ასახულია ანგარიშგების ვალუტაში ოპერაციების მოხდენის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული საბალანსო მუხლები შეფასებულია მიმდინარე კალენდარული წლის 31.12-ით სავალუტე კურსის შესაბამისად.

USD/ლ EUR/ლ TRY/ლ

გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის 2.8068 2.9306 0.0795  
კურსთა შორის სხვაობის შემდეგ მიღებული მოგება ან ზარალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადატანილია ფინანსურ შედეგებზე, მოგება ზარალში.

**4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.**

**ა) ძირითადი საშუალებების აღრიცხვა :**

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით ან რეალური ღირებულებით.

საწარმოში შეძენილი ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება მისი თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს: შეძენის ფასს, ტრანსპორტირებისა და დაცვითი-გადმოცირთვის ხარჯებს, განბაჟების ხარჯს, გეზის მომსახურების ხარჯს, არადაზოვნებად გადასახადებს, აქტივის მონტაჟისა და საბუშო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადის გასვლის შემდეგ, ხდება შეფასება არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორი, თუ ასეთი ინდიკატორი არსებობს მენეჯმენტი აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. თუ ის ისევეცემდება ექსპლუატაციას, აღირიცხება საბალანსო ღირებულებით ან მოხდება თავიდან შეფასება ქონების შემფასებელი კომპეტენტური პირის მიერ. ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

საწარმოში ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს კეთდება ინვენტარიზაცია, ინვენტარიზაციის შედეგად



შპს ბასმოტორს თბილისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აღმოჩენილი ძირითადი საშუალებები აისახება არასაოპერაციო შემოსავლით საბაზრო ღირებულებით, საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით- თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად ჯგუფების მიხედვით. მომსახურების ვადას განსაზღვრავს მენეჯმენტი.

## ჯგუფი

## სასარგებლო მომსახურების ვადა

|                                     |         |
|-------------------------------------|---------|
| ოფისის აღჭურვილობა                  | 5 წელი  |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 5 წელი  |
| სატრანსპორტო საშუალება              | 10 წელი |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5 წელი  |

## ბ) არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

შემენილი არამატერიალური აქტივის აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის. არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, მომსახურების ვადა განისაზღვრება 10 წლის ვადით. ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აისახება ნარჩენი ღირებულებით თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

## ძირითადი საშუალებები

|                               | მიწის ნაკვეთი | დაუმთავრებელი მშენებლობა | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | სატრანსპორტო საშუალებები | არამატერიალური აქტივი | სულ     |
|-------------------------------|---------------|--------------------------|-------------------------------------|-----------------------------|--------------------------|-----------------------|---------|
| 31.დეკ.22                     | 281 097       |                          | 6 463                               | 28 477                      | 105 172                  | 1 319                 | 422 528 |
| შემოსვლა პერიოდის ცვეთა       |               | 204 133                  |                                     | 144                         | 370                      |                       |         |
|                               |               |                          | (2 873)                             | (11 832)                    | (13 618)                 | (367)                 |         |
| 31.დეკ.23                     | 281 097       | 204 133                  | 3 590                               | 16 789                      | 91 924                   | 952                   | 598 485 |
| შემოსვლა ცვეთა და გაუფასურება |               | 206 323                  |                                     | 6 006                       | 71 088                   |                       |         |
|                               |               |                          | (2 873)                             | (10 515)                    | (17 222)                 | (582)                 |         |
| 31.დეკ.24                     | 281 097       | 410 456                  | 717                                 | 12 280                      | 145 790                  | 370                   | 850 710 |

სულ 2024 წლის ბოლოს ძირითადი საშუალებები; 850.710 ლარი

## გ) ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯი

ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებებზე რემონტისას გაწეული ხარჯები თავისი შინაარსიდან გამოდინარე ჯგუფდება მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად. მსუბუქ ავტომობილებზე სათადარიგო ნაწილები, ზეთისა და ფილტრების, საპურავის და სხვა საჭირო ხარჯები მიეკუთვნება მიმდინარე ხარჯებს.

ხოლო ისეთი ხარჯები რომლის გარეშეც ტრანსპორტი ვერ იმუშავებს კაპიტალიზდება.

**დ) საინვესტიციო ქონება.**

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში მყოფი ქონება, საიდანაც კომპანია იღებს საოჯარო შემოსავალს ან რომლის საშუალებითაც ზრდის კაპიტალს ან ორივე და რომელიც არ არის კომპანიის მიერ დაკავებული. კომპანიას საინვესტიციო ქონება არ გააჩნია.

**5. ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში**

შეიღობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად. კომპანიას შეიღობილი კომპანია არ გააჩნია.

**6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების / მარაგების აღრიცხვა**

**ა) მარაგი**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. (ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს); ასევე ხდება საზღვარგარეთ ავანსების გადარიცხვა საქონლის შესაძენად, რომელიც საქონლის შემოსვლის მომენტში მარაგებში აღირიცხება გადარიცხული ავანსის ღირებულებით.

-სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი - უწყვეტი;

-სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი „საშუალო-შეწონილი“;

მარაგებში აღირიცხება შემდგომი რეალიზაციისათვის განკუთვნილი საქონელი, საწვავი დასატრანსპორტო საშუალებისათვის, საჭირო საქონელი, რომელიც მიღებულია დოკუმენტურად სასაქონლო ზედნაღების, ანგარიშ ფაქტურის, მიღება-ჩაბარების აქტის, შესყიდვის აქტის რეალიზაციისათვის განკუთვნილი საქონელი - ჩამოიწერება გაყიდვის დროს მიღება ჩაბარების აქტების, დეფექტური აქტების, სასაქონლო ზედნაღების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი სათადარიგო ნაწილები - ჩამოიწერება მძღოლის მიერ შემოტანილი განცხადებისა და ბრძანების საფუძველზე დირექტორის მხრიდან.

**ბ) საწვავის აღრიცხვა**

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით/ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. ბარათებიდან ანგარიშვალდებულ პირებზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და აღირიცხება უწყისებში. საწვავი საწარმოს სატრანსპორტო საშუალებებზე ჩამოიწერება ფინანსთამინისტრის დადგენილი ფორმის საგზაო ფურცლის მიხედვით, საბაჟო დეკლარაციებისა ან ავტოსაგზაო ბარათების საფუძველზე ხარჯის ნორმების შესაბამისად.

**გ) ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა**

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში აისახება და ჩამოიწერა ხორციელდება ფაქტიურად გახარჯული მასალების მიხედვით.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში აისახება და ჩამოიწერა ხორციელდება ფაქტიურად გახარჯული მასალების მიხედვით.

საექსპლუატაციო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

| სასაქონლო მატერიალური მარაგის ნაშთები: | 31.12.2024       | 31.12.2023       |
|----------------------------------------|------------------|------------------|
| ნედლეული და მასალები                   | 524              | 298              |
| საქონელი                               | 2,618,586        | 1,521,835        |
| <b>სულ</b>                             | <b>2,619,110</b> | <b>1,522,133</b> |



მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 7,596,379 ლარი , ხოლო 2023 წელს 2 ,804,778 ლარი.

## 7. ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება საქონლის რეალიზაციიდან მაშინ, როდესაც მყიდველის საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ხოლო მომსახურების აღიარება ხდება მომსახურების დასრულების დროს, რომელზედაც გაფორმებული იქნება მიღება- ჩაბარების აქტი. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით, ნეტო ამონაგები მოიცავს 18% დღგ-ით დასაბეგრ , 0%-ით დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვებს , დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებულ ბრუნვებს, დღგ-ს ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვებს.

| შემოსავალი გაყიდვებიდან                   | 31.12.2024       | 31.12.2023       |
|-------------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი მომსახურებიდან                 | 36,340           | 10,473           |
| შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან         | 8,839,959        | 3,537,152        |
| გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა | (396,111)        | (9,741)          |
| <b>სულ</b>                                | <b>8,480,188</b> | <b>3,537,884</b> |

## 8. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და მოგება-ზარალის ანგარიშგება

-შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.  
-ხარჯების აღრიცხვის შინაარსი-ფუნქციური დანიშნულებით.  
-პროდუქციის რეალიზაციის - 7200 სინთეზურ ანგარიშზე, მიწოდებისა და რეკლამის ხარჯები - 7300 სინთეზურ ანგარიშზე, ხოლო ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები - 7400 სინთეზურ ანგარიშზე, რომელთაც საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ეხსენება სუბანგარიშები. დანახარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აღირიცხება დიფერენცირებულად.  
-არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება შესაბამისად 8100 და 8200 სინთეზურ ანგარიშებზე;  
-ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით .

## 9. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღრიცხვისთვის ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საქონლის საცალო რეალიზება ხდება როგორც ფიზიკურ პირებზე, ასევე ორგანიზაციებზე. მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება როგორც ჩვეულებრივად ასევე კონსიგნაციით და გადახდილი ავანსის საფუძველზე. ავანსის დროს(თუ ეს არის უცხოური ვალუტა) რეალიზაციის თანხად აღიარდება ჩარიცხული ავანსის დღეს არსებული ეროვნული ბანკის ვალუტის კურსის მიხედვით, დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება.



შპს ბასმოტორს თბილისი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 31.12.2024     | 31.12.2023     |
|--------------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                   | 811,795        | 328,480        |
| მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი | 145,000        | 145,000        |
| გადახდილი ავანსები                   | 41,750         | 34,346         |
| <b>სულ</b>                           | <b>998,545</b> | <b>507,826</b> |

#### 10. სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ კონსიგნაციის პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი წლის ბოლოს ხდება დებიტორებთან - კრედიტორებთან შედარება და ფორმდება შედარების აქტები.

| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 31.12.2024       | 31.12.2023     |
|-------------------------------|------------------|----------------|
| სავაჭრო ვალდებულებები         | 2,295,783        | 488,626        |
| მიღებული ავანსები             | 41,249           | -              |
| <b>სულ</b>                    | <b>2,337,033</b> | <b>488,626</b> |

#### 11. ფინანსური და საოპერაციო ოჯარა

კომპანია ოჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო ოჯარად, თუ ოგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებს და შემოსავლებს კომპანია ხარჯად აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით. ოჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ ოჯარად, თუ ოგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის მიღებას ან გადაცემას.

საწარმოს ოჯარით აღებული აქვს ფართი მაღაზიის მოსაწყობად. საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია ერთ წლამდე ვადით და აქვს ვადის გაგრძელების პირობა. საწყისი აღიარების დროს კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს და აკლასიფიცირებს თავის ოჯარას საოპერაციოდ.

მიუხედავად საიჯარო ხელშეკრულებისა ხელშეკრულება თვლის, რომ სამომავლოდ, მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში გააგრძელებს ოჯარას ოგივე ერთ წლიანი ვადით. ამის გათვალისწინებით, მომავალი საიჯარო გადასახადი თანხა შეადგენს:

|                 |                 |
|-----------------|-----------------|
| მომავალ 1 წელში | 22,800 დოლარი   |
| მომავალ 5 წელში | 114,000 დოლარი. |

მიმდინარე წლის ბოლოს საწარმოს ოჯარის ვალდებულება - 106,658.40 ლარი

#### 12. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად. ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შეგებულებებს, კომპანია ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

საწარმოს მიმდინარე წლის ბოლოს დაქირავებული პირის მიმართ ვალდებულება არ გააჩნია.

| ხელფასები და ბონუსები | 2024წ   | 2023წ   |
|-----------------------|---------|---------|
|                       | 236,769 | 177,343 |

### 13. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ა) ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით. საწარმოს სესხი არ გააჩნია.

### ბ) სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული სესხით სარგებლობასთან. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია: ექსექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი.

### 14. წარმომადგენლობითი ხარჯები

ორგანიზაციის წარმომადგენლობითი ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვრება წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1%-ით, 1%-ზე გადაშეტება კი დაიბეგრება მოგების გადასახადით; ხოლო, თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს (ზარალის შემთხვევაში) გაწეული ხარჯის 1%-ით. წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს: მივლინების და სტუმრების მიღების ხარჯებს, რომლებიც მოიცავს სასტუმროსა და საკონფერენციო დარბაზის ხარჯებს, ტრანსპორტის ხარჯებს, კულტურული ღონისძიების და სადილის ხარჯებს. წარმომადგენლობითი ხარჯების ხარჯებში აღიარება ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.

### 15. ქონების გადასახადი

ქონების გადასახადის გაანგარიშება ხდება ბალანსზე რიცხული აქტივების შესაბამისად საანგარიშო წლის ბოლოს და წინა წლის აქტივების ნარჩენი ღირებულების საშუალო არითმეტიკულით.

### 16. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება, მოგების განაწილება

ა) კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „შენარჩევთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

| კაპიტალის მოძრაობა | 2020წ   | 2021წ    | 2022წ     | 2023წ     | 2024წ   |
|--------------------|---------|----------|-----------|-----------|---------|
| კაპიტალის შემოტანა |         | 65,000   | 212,769   | 150,098   |         |
| გატანა             |         | (92,200) | (101,059) | (150,098) |         |
| ნაშთი წლის ბოლოს   | 124,392 | 97,192   | 208,902   | 208,902   | 208,902 |

მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენდების გასაცემად;

### 17. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება მაშინ, როდესაც ის სამართლებრივად ხდება გადასახდელი. გადასახდელი დივიდენდი პარტნიორების მიმართ გამოიქვეითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაგზადებულია აქციონერთა საერთო კრების შედეგად ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.



#### 18. საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა

-საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად;  
-საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით.

#### 19. დამატებითი ღირებულების გადასახადი.

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგებულის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით. კომპანია გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელო თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

#### 20. მოგების გადასახადი

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე; ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება:

- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული საგადასახადო;
- უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.
- საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სპეციფიურად იბეგრება ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, გაცემის მომენტში ასეთი სესხები იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ ანაზღაურდება სესხის დაფარვის შემდეგ.
- საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით)
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში
- დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

#### 21. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

საწარმოებს, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადრიცხვო პოლიტიკის ამ თავში შეუძლიათ შეიტანონ დაზუსტებული ანგარიშთა გეგმა დამატებითი ანგარიშების გახსნით.

#### 22. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას.



დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიას აკონტროლებს 50 %-იანი წილის მფლობელები და დირექტორები ამირან და რუსლან ბასილაძეები.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

| ხელმძღვანელობაზე გაცემული ხელფასები/ბონუსები:       | 2024წ  | 2023წ  |
|-----------------------------------------------------|--------|--------|
| ამირან ბასილაძე                                     | 49,744 | 49,170 |
| რუსლან ბასილაძე                                     | 22,959 | 23,342 |
| სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან : | 2024წ  | 2023წ  |
| ამირან ბასილაძე                                     | 145,00 | 145,00 |

## 23. ანგარიშგების გადაანგარიშება/ შესწორება გამოცემის შემდეგ

კომპანია რეტროსპექტულად ასწორებს წინა პერიოდის არსებით შეცდომებს გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომები გამოვლინდება და ამას აკეთებს შემდეგი გზით: იმ წარდგენილი პერიოდის (პერიოდების) შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ პერიოდთან ყველაზე წინა პერიოდამდე. ფინანსური ანგარიშგება წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაციის ჩათვლით წარმოდგენილია ისე, თითქოს შესწორება განხორციელდა იმ პერიოდში, როდესაც წარმოიშვა ამის აუცილებლობა. შესაბამისად, შესწორების ოდენობა, რომელიც ეხება თითოეულ წარდგენილ პერიოდს, შედის ამ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

## 24. ბალანსის შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება მანამ, სანამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება, თუნდაც მოვლენები მოხდეს მოგების ან ზარალის, ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ, არსებობს ორი ტიპის

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა:

- მაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე.
  - არამაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მოგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში.
- საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო არ აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს.
- წინა პერიოდის შეცდომები აღნიშნავს საწარმოს ერთი ან მეტი წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულ უზუსტობას ან ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვერ იქნა გამოყენებული, ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც: (ა) ხელმისაწვდომი იყო იმ მომენტისათვის, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა; და (ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს. ამგვარ შეცდომებს განეკუთვნება მათემატიკური შეცდომები, სადრიცხო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომები, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციისა და თაღლითობის შემთხვევები. საწარმომ რეტროსპექტულად ასწორებს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომას მისი გამოვლენის შემდეგ გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში, შემდეგნაირად:
- იმ წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდების შესადარისი თანხების გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან
  - თუ შეცდომა დაშვებული იყო წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდებიდან ყველაზე ადრეულ პერიოდამდე, ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით. როდესაც შეუძლებელია შეცდომის გველუნის განსაზღვრა ერთი ან მეტი წინა წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციაზე, საწარმო ახდებს ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის



შპს ბასმოტორს თბილისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებას, რომლისთვისაც შესაძლებელია რეტროსპექტული გადაანგარიშების განხორციელება. საწარმოში საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ადგილი ჰქონდა მოვლენებს, რომელმაც იმოქმედა ფინანსურ ანგარიშგებასა და მოგება ზარალის ანგარიშგებაზე. შემცირებულია საინვესტიციო ქონება მოგება ზარალის ხარჯზე.

სხვა შემდგომი მოვლენები არ განხორციელებულა რაც გასაძლავნებელია განმარტებით შენიშვნებში.

#### 25. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და გამოსაცემად მზად არის 2025 წლის 31 ივლისს

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ.

დირექტორი: ამირან ბასილაძე

დირექტორი: რუსლან ბასილაძე

Amiran  
Basiladze  
61009003764

Digitally signed  
by Amiran  
Basiladze  
Date: 2025.09.17  
13:44:15

Ruslan  
Basiladze  
61009001673

Digitally signed  
by Ruslan  
Basiladze  
Date: 2025.09.17  
11:48:54